ბელას დამალობანა

წიგნის შესახებ

ტექსტის ტიპი:	მხატვრული
ტექსტში სიტყვების რაოდენობა:	129
კითხვის დონე:	VII
ტექსტის მოკლე შინაარსი:	მხატვრული ტექსტი. საინტერესო ისტორია პატარა გოგონას შესახებ, რომელსაც ექიმთან წასვლისა ეშინია.

ტექსტის მიზანი:

მხატვრული ტექსტი „ბელას დამალობანა“, მცირე მოცულობისა და სიმარტივის მიუხედავად, კომპლექსური ტექსტია, რომელიც მოსწავლეებს კითხვის სხვადასხვა კომპონენტში უნარების გაუმჯობესებისათვის აუცილებელ ამოცანებს უყენებს. ტექსტში მოქმედების თანმიმდევრობითი განვითარების ხაზია მოცემული და ემოციების გააზრების საშუალებას იძლევა ეფექტური დავალებებისა და კარგად დაგეგმილი საგაკვეთილო გეგმის საშუალებით.

მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლეებს განუვითარდებათ მოვლენათა თანმიმდევრული აღქმის უნარი და შეძლებენ ადგილის აღმნიშვნელი თანდებულების / ზმნიზედების სწორად გამოყენებას. მოსწავლეები შეძლებენ კაუზალური წინადადებების აგებას და მოვლენებისა და მოქმედებების ერთმანეთთად სწორად დაკავშირებას. ტექსტი საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, იმსჯელონ საკითხავი მასალის ჟანრობრივ თავისებურებებზე.

ტექსტის ამოცანები კითხვის კომპონენტების მიხედვით:

ფონეტიკური	ლექსიკური	გრამატიკული
წყნარად - წყნარათ ჩუმად - ჩუმათ (ვითარებითი ბრუნვის ნიშნის დაყრუება ბოლოკიდურ პოზიციაში).	ალერსის გამომხატველი სიტყვები და ფრაზეოლოგიზმები: ამშვიდებს, ეფერება, ეხუტება, უღიმის, ხელს უწყვდის და ა.შ. სახლის მოწყობილობებისა და სხვადასხვა სათავსოს დასახელება.	თანდებულების / ზმნიზედების სწორად გამოყენება ზმნასთან „ძებნა“. „ემალება“ – „იმალება“ (ვნებითი გვარის ერთპი-რიანი და ორპირიანი ფორმები), განსხვავების გააზრება. „დივანი – დივნის“ (კუმშვა).

გააზრებასთან დაკავშირებული ამოცანები

ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლები	ტექსტში მოცემული მოქმედებების თანმიმდევრობითი ხასიათი. წინადადებების რეპეტიციული ხასიათი და ერთგვაროვანი ენობრივი კონსტრუქციები.
შინაარსობრივი მხარე	კაუზალური დამოკიდებულების გააზრება და დასკვნის გამოტანა, რომელიც არამიმდევრობითი წყობის წინადადებებშია მოცემული და ერთ

	წინადადებად არ არის კონსტრუ-ირებული. მაგ. (იმიტომ იმალება, რომ ექიმთან მისვლის ეშინია. იმიტომ იპოვა, რომ ლეკვი არ იყო ჩუმად და ა.შ.).
ჟანრობრივი მხარე	დიალოგები, მხატვრული ტექსტის ქვე-ჟანრი, დამოკიდებულება ტექსტისადმი ემოციურ დონეზე.

გამოსაყენებელი მასალა:

მიმართულებების მაჩვენებელი ბარათები, ორგანიზატორები, ბარათები ტექსტში გამოყენებული და მათთან ასოცირებული სიტყვებით.

საგაკვეთილო აქტივობები

კითხვის წინარე ფაზა

„გახურება“, მოსწავლეების ინტერესის გაღვიძება.

ჰკითხეთ მოსწავლეებს, სად წასვლა უყვართ ყველაზე მეტად და სად წასვლა არ უყვართ. გამოჰკითხეთ მიზეზი, რატომ არ უყვართ წასვლა დასახელებულ ადგილას. შეეცადეთ, გახურებისას მოსწავლეები „მიიყვანოთ“ იმგვარ ადგილებამდე, სადაც წასვლა იმიტომ არ უყვართ, რომ ცოტათი ეშინიათ. მიეცით მოსწავლეებს ორგანიზატორი და სთხოვეთ დაახარისხონ ორ-ორი ადგილი იმის მიხედვით, სადაც

წასვლა განსაკუთრებით უყვართ და განსაკუთრებით არ უყვართ. სთხოვეთ მოსწავლეებს, ორი ძირითადი სიტყვით განმარტონ (ორგანიზატორის საშუალებით), რატომ უყვართ და რატომ არ უყვართ კონკრეტულ ადგილებში მისვლა.

გამოიყენეთ შემდეგი ორგანიზატორი:



კითხვის ფაზა

სთხოვეთ მოსწავლეებს, წამოდგნენ ტექსტით ხელში. ახლა სთხოვეთ მათ, გააკეთონ წრე. სთხოვეთ, რიგრიგობით წაიკითხონ წინადადებები, ამასთან, აუხსენით, რომ ისე წაიკითხონ, თითქოს უკვე წაუკითხავთ ეს ტექსტი. აუხსენით, რომ როდესაც დიალოგი მოუწევს, დიალოგის წინადადება მოსწავლეებმა წაიკითხონ,

ხოლო მოქმედ პირს კი თქვენ დაასახელებთ („თქვა დედამ“ და ა.შ.) ერთხელ წაკითხვის შემდეგ ჰკითხეთ ბავშვებს, ხომ არ უნდათ, რომ გუნდური კითხვა კვლავ გაიმეორონ. თუ მოუნდებათ, კიდევ ერთხელ გაიმეორეთ ტექსტი იმგვარად, რომ ბავშვებმა იგივე წინადადებები არ წაიკითხონ.

კითხვის შემდგომი ფრაზა

ჰკითხეთ მოსწავლეებს, რომელია მათთვის უცნობი სიტყვა. სთხოვეთ მოსწავლეებს, რომლებიც მათთვის უცხო სიტყვას დაასახელებენ, ეს სიტყვა „სიტყვათა დასტაში“ იპოვოს. ნაპოვნი სიტყვა დაფაზე გააკარით. ჰკითხეთ მოსწავლეებს, თუ იცის რომელიმემ ამ სიტყვის მნიშვნელობა და თან სთხოვეთ, რომ სიტყვა კი არ ახსნას, ისეთი სიტყვა დაასახელოს, რომელიც ყველაზე ახლოსაა უცნობი სიტყვის მნიშვნელობასთან. სასურველია, რომ ამ ტექსტით იმ მოსწავლეებთან ჩაატაროთ გაკვეთილი, სადაც 5-6 ახალ სიტყვის მეტს მოსწავლეები არ დაასახელებენ.

ჰკითხეთ ბავშვებს, რას ფიქრობენ ამ ტექსტის შესახებ. ჰკითხეთ მათ, როგორ ფიქრობენ: მხიარულია ეს ტექსტი თუ არ არის მხიარული. სთხოვეთ, რომ საკუთარი არგუმენტები დაასაბუთონ. ახლა დაურიგეთ მოსწავლეებს ორგანიზატორი და სთხოვეთ, პატარა ჯგუფში შემდეგ 5 წუთის განმავლობაში ჩამოწერონ თანმიმდევრობით ყველა ის ადგილი, სადაც დედა ბელას ეძებს.

გამოიყენეთ შემდეგი ორგანიზატორი:



3. სთხოვეთ ბავშვებს, დახურონ ტექსტი და გაიხსენონ, თუ როგორ ეფერებოდა დედა ბელას. სთხოვეთ იმ ბავშვს, რომელიც მოფერების გამომხატველ ზმნას (ფრაზას) იტყვის, სიტყვების დასტიდან ამოიღოს სიტყვის (/ ფრაზის) შესაბამისი ბარათი. გააკარით ბარათები დაფაზე. ჰკითხეთ ბავშვებს, ხომ არ იციან კიდევ რომელიმე სხვა სიტყვა, რომელიც ტექსტში არაა, მაგრამ მოფერებას გამოხატავს.

4. დაწერეთ დაფაზე ორი სიტყვა:

იმალება *ემალება*

სთხოვეთ ბავშვებს, ჩამოწერონ რამდენიმე მაგალითი ორივე სიტყვის ქვევით. ჯგუფში გააანალიზეთ ბავშვების დაწერილი ვარიანტები. სთხოვეთ მოსწავლეებს

ახსნან, რა განსხვავებები დაინახეს ამ ორ სიტყვასთან დაკავშირებულ სიტყვებში (სავარაუდოდ, დაასახელებენ პირიანობის თვალსაზრისით სხვაობას).

გაკვეთილის ბოლოს სთხოვეთ ბავშვებს, შეაფასონ, რომელი დავალება მოეწონათ ყველაზე მეტად გაკვეთილის მსვლელობისას. დაასაბუთებინეთ პასუხი. სთხოვეთ ბავშვებს, საშინაო დავალებად დაწერონ მოკლედ 50 სიტყვიანი ტექსტი იმის შესახებ, თუ რომელ ადგილას წასვლა ეშინიათ ყველაზე მეტად და რატომ.